სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

დავით აღმაშენებლის გამზირი №150
0112 თბილისი, საქართველო
+995 32 2439503 / +995 32 2439510
info@nea.gov.ge
nea.gov.ge

24 დეკემბერი 2025

N 21/13298

შპს „პირველი“-ს
მის: ქალაქი თბილისი, რ. ჩხეიძის ქუჩა, №3
ელ. ფოსტა: info@amperax-georgia.com

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ (შემდგომ – სააგენტო) განიხილა თქვენი №11816 და №12524 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება გორის მუნიციპალიტეტიში 112,5 მგვტ სიმძლავრის ქარის ელექტროსადგურის, 35/110/220 კვ ძაბვის ქვესადგურის და 35 კვ ძაბვის მიწისქვეშა ელექტროგადამცემი ხაზის ექსპლუატაციის პირობის ცვლილებას და გაცნობებთ, რომ სკრინინგის განცხადებაში მოცემული არ არის/დაზუსტებას საჭიროებს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

ა) სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს კორესპონდენციის თანახმად, „საპროექტო ტერიტორიის სამხრეთით, კვერნაკის ქედის სამხრეთ კალთაზე მდებარეობს ეროვნული მნიშვნელობის კატეგორიის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი – უფლისციხის კლდეში ნაკვეთი ქალაქი, რომელიც შეტანილია იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის წინასწარულ ნუსხაში. ამდენად, ვინაიდან პროექტით გათვალისწინებული ტერიტორია კვერნაკის ქედის ყველაზე მაღალ წერტილებს მოიაზრებს, რომელიც უფლისციხის მთავარი ხედვის არეალში ძეგლის ვიზუალურ გარემოს აგვირგვინებს, სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს პოზიციის დასაფიქსირებლად აუცილებლად უნდა იქნეს წარმოდგენილი რეალურ გარემოში შესრულებული ფოტომონტაჟები სხვადასხვა ხედვითი წერტილებიდან, რომლებზეც ნაჩვენები იქნება ტურბინების მიმართება უფლისციხის კლდეში ნაკვეთ ნაქალაქართან (შორი და ახლო ხედებიდან)“.;
ბ) სკრინინგის განცხადების ძირითადი ნაწილი ეთმობა გზშ-ის ანგარიშიდან გადმოტანილ ინფორმაციას. გარდა ამისა, დოკუმენტში წარმოდგენილია დეტალური ინფორმაცია იმ ინფრასტრუქტურის შესახებ, რომელსაც ექსპლუატაციის პირობის ცვლილება არ ეხება, რაც არარელევანტური ინფორმაციაა. კანონმდებლობის შესაბამისად, სკრინინგის განცხადებაში დეტალურად უნდა იყოს აღწერილი უშუალოდ დაგეგმილი ექსპლუატაციის პირობის ცვლილება და აღნიშნული ცვლილებით გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე მოსალოდნელი ზემოქმედებები. კერძოდ, მოცემული უნდა იყოს ცვლილებით გათვალისწინებული ინფრასტრუქტურული ობიექტების და მათი პარამეტრების, ასევე გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე მოსალოდნელი ზემოქმედებების შედარებითი ანალიზი, საბაზისო პროექტთან მიმართებით;
გ) სკრინინგის განცხადებაზე თანდართულ shp ფაილებში წარმოდგენილი 35 კვ ძაბვის მიწისქვეშა ეგხ-ის და მისი ტრანშეის (საკაბელო ტრანშეა) დერეფანი ერთმანეთს არ ემთხვევა და ასევე არ არის მოცემული 35 კვ ძაბვის მიწისქვეშა ეგზ-ის ბუფერი. შესაბამისად, მითითებული საკითხები საჭიროებს დაზუსტებას.

ამასთან, წარმოდგენილი shp ფაილების გადამოწმებით დგინდება, რომ საბაზისო პროექტით გათვალისწინებული ამწის პლატფორმების განთავსების კონფიგურაცია და ფართობები იცვლება, თუმცა, აღნიშნული ცვლილების შესახებ ინფორმაცია ტექსტურ ნაწილში ასახული არ არის. შესაბამისად, იმ შემთხვევაში თუ ექსპლუატაციის პირობის ცვლილება ასევე ეხება ამწის პლატფორმების განთავსების კონფიგურაციის და ფართობების ცვლილებას, სკრინინგის განცხადების ტექსტურ ნაწილში მოცემული უნდა იყოს აღნიშნული ცვლილების შედარებითი ანალიზი, საბაზისო პროექტთან მიმართებით. ამასთანავე, ექსპლუატაციის პირობის ცვლილებასთან დაკავშირებულ shp ფაილებში ასახული ტერიტორია სრულად თანხვედრაში უნდა იყოს სკრინინგის განცხადების ტექსტურ ნაწილში აღწერილ ცვლილებებთან;

დ) სკრინინგის განცხადებაში დეტალურად უნდა იყოს განხილული ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მართვასთან დაკავშირებული ისეთი საკითხები (მოხსნა, დასაწყობება, რეკულტივაცია და ა.შ), რომლებიც პროექტით გათვალისწინებული სამუშაოების განხორციელების შემთხვევაში, შესაბამისობაში იქნება ,,ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენებისა და რეკულტივაციის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №424 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მითითებული საკითხების დაზუსტებამდე, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის 5[1] ნაწილის საფუძველზე სააგენტო წყვეტს თქვენ მიერ წარმოდგენილ სკრინინგის განცხადებაზე ადმინისტრაციულ წარმოებას.

ელენე ღუბიანური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

https://edocument.ge/mea/public/#/13298-21-2-202512241110